**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 228 ყოველ დღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 228

**წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 3-ს ოკდომბ.

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საზურაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული“

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, **ნარევი:** მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე 3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა, ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ“.

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 5 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

## ბალ-მასკარადი

ოპერა 4 მოქმ. მუს. ვერდისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ანტონოვისა, ტომკევიჩისა, შიხუპცკოიმინჩენკო და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

ოთხშაბათს, 6 ოკდომბერს,

2-ლი გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა.

წარმოდგენ. იქნება

## აიდა

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურ. მუსიკა ვერდისა.

---

ხუთშაბათს, 7 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

## ფაუსტი

მუსიკა გუნოსი.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნერონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა და «**ვერტერი**», მუსიკა მასნეოსი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

## საჭიროა მასწავლებელი

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## სკოლებისათვის

გომარეთში და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა).

მასწავლებელს ექმნება გომარეთში ჯამაგირად თვეში 35 მან. და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.

მსურველთ უნდა წარმოადგინონ დოკუმენტები და თხოვნები ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (Тифлисъ, общество грамотности).

(3—6—3).

---

ოთხშაბათს, 6 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო საბჭოს დარბაზში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, მოჰხდება

**ჩვეულებრივი**

## საზოგადო კრება

რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

კრების პროგრამა შემდეგია:

1) მოხსენება კ. ნ. სმირნოვისა ჩრდილოეთ ქურდისტანში მოგზაურობის შესახებ.

2) არჩევნები ნამდვილ წევრთა,

კრებაზედ ყველას შეუძლიან დაესწროს უფასოდ. (3—უ—3).

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აზნაურიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათ. და საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიქოვის და ბართნის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. გალაჩჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2—10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2—12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, $12^1/_2—1^1/_2$ საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ამბობენ, რომ ლიაოიანში რუსებმა დასწვეს სხვა და სხვა საინტენდანტო მასალა 2 მილიონ მანეთისაო. (რ. ვ.).

—

კოპენჰაგენელი კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს «მორნინგ პოსტს», რომ ის ხმა, ვითომ იაპონელთა გემები გაჩნდა დანიის ზღვებში, ყოვლად უსაფუძვლოაო. (ს. პ. ს.).

—

ინგლისში ძრიელ გაჰკვირებიათ, როცა წაუკითხავთ ბრძანება გენ. კუროპატკინისა, სატევი ომი უნდა დავიწყოთო. მეტადრე საიმპერიალისტო გაზეთებს სულ დავთრები დაჰბნევიათ. ჩვენ ვწინასწარმეტყველობდით რუსთა დახევას ხარბინისაკენ და ახლა ეს რა ამბავიაო. სხვა და სხვანაირად მსჯელობენ იქაური გაზეთები რუსთა ძალ-ღონის შესახებ მუკდენთან, მაგრამ იმას კი ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ასეთს ბრძანებას დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდს სულის აღფრთოვანებას გამოიწვევს ჯარშიცა და ერშიცაო. „ვესტმინისტრის გაზეთი“ ამბობს, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ რუსთა ჯარს დიდი არა უზარალნია-რა ლიაოიანს შემდეგაო. ლონდონში სულის სიმწარით ელიან ახლა ომის ამბებს მანჯურიიდან და ყველა იმის ფიქრშია, რომ კვანტუნის ნახევარ კუნძულზედ კი არა, მანჯურიაში სწყდება პორტ-არტურის ბედიო. (რ. ვ.).

—

ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურს იაპონიის გემები ჩაჰსაფრებიან და უყურყუებენ, აცა გემი ხომ არა გამოვა-რაო. გემები, რასაკვირველია, სავაჭრო, გამოდიან და ისე გაუვლიან ხოლმე გვერდზედ მოუყურადე გემებს, რომ ვერაფერსაც ვერ გახდებიან ხოლმე. ამას წინად ცინდაოში დაბრუნებულა გერმანიის გემი «პროგრესი», დატვირთული სხვა და სხვა ტკირთით კერძო კაცის მიერ ვლადივოსტოკს დასაცლელად. გემის მსახურნი ამბობენ, რომ ამ უკანასკნელს დღეებში რამდენიმე დიდი გემი მივიდა ვლადივოსტოკს, დატვირთული ქვა-ნახშირითა და ტყვია-წამლითაო. ქალაქი ძლიერ თურმე გამაგრებული და ნავთ-სადგურში ნაღმებია ჩაყრილი. «გრომობოი» და «როსსია» უკვე თურმე შეაკეთეს. (ნოვ.).

—

«ნეუე ფრეიე პრესსე» ამბობს, რომ

ამერიკაში უკვე მოუმზადებიათ ხუთი წყალქვეშ მავალი გემი იაპონიისათვის და გაუგზავნიათ კიდეცა დანიშნულებისამებრ. ახლა ნავები გზაშიაო. დიდის საიდუმლოებით ყოფილა მოცული მათის გაგზავნის ამბავი. მასაჩუსეტის შტატის ერთ-ერთ ქარხნიდან ღამე გამოუტანიათ და მიუტანიათ რკინის გზაზედ, მერე ზღვით გადაუტანიათ ჯერს-სიტში და შემდეგ ისევ რკინის-გზით პენსილვანიაზედ, იქიდან დასავლეთისაკენ გაუმგზავრებიათ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებზედ. ბაგაჟის კვატანციებზედ გაურკვევლად სწერია თურმე: ჩიკაგოდან დასავლეთადაო. წყალ-ქვეშ მცურავი ნავები დაშლილი გაუგზავნიათ, დაუდვიათ 17 პლატფორმაზედ და ექვსი დახურული ვაგონიც კიდევ სხვა მონდომებია. (რუს.).

—

გაზ. „პრესს“-მა რეფერენდუმი დაიწყო, ესე იგი ეკითხება მკითხველებს, შეგვატყობინეთ, რას ჰფიქრობთ ამ ოთხ საგანზედ: გამარჯვებით გაათავებს თუ არა რუსეთი ომსა, აიღებენ პორტ-არტურს იერიშით, თუ აიძულებენ დაჰნებდეს ტყვია-წამლისა და სურსათის გამოლევის გამო, მანჯურია რუსეთისა იქნება, იაპონიისა თუ ნეიტრალ ქვეყნად დარჩება, როდის გათავდება ომი, რა წელსა და რა თვესაო. საჩუქარი არ არის დაწესებული, მაგრამ გაზეთს იმედი აქვს, რომ მკითხველნი ამისთანა შემთხვევას ხელს ჩასჭიდებენ, რათა გამოუცხადონ თვისი თანაგრძნობა რუსეთს, ჩვენს მოკავშირესაო. საფრანგეთის სხვა გაზეთები ამბობენ, ვერ არის კარგად მოსაზრებული ეგ საქმე, ტუტუცური რეფერენდუმია, ყოვლად უტაქტოო. (ბ. ვ.).

—

ბალტიის ესკადრაში, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთში მიდის, სულ 33 გემია. მათ შორის 7 ნაღმოსანი. ნაღმოსნები ჯავშნოსნებთან&სათარეშოგემებთან ბრძოლაში ბევრს ვერას ჰხდებიან. ეს დაამტკიცა 28 ივლისის საზღვაო ბრძოლამ პორტ-არტურთან. კარგი ჯავშნოსანი 5-ია: «ალექსანდრე III», „ბოროდინო“, «ორიოლი», «სუვოროვი», «ოსლაბია». ცოტა მოძველებულია «ნავარინი» და «სისოი ველიკი», აგრეთვე ჯავშნიანი სათარეშო გემები: «ადმირალი ნახიმოვი» და «დიმიტრი დონსკოი». ესენი საზღვაო ბრძოლაში ნაკლებად არიან გამოსადეგნი. რომელიც კარგი ჯავსნოსანი გემებია, არც ერთი იაპონიის გემებზე უარესი არ არის. თუ ჩამოუვარდებიან, მხოლოდ «მიკაზას». თუ ბალტიის ესკადრა შეუერთდა პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრას, მაშინ რუსეთს საკმაო ძალა ექმნება ზღვაზედ. ადმირალი სკრიდლოვი წინ დაუყენებდა ტოგოს 5 ჯავშნიან გემსა და 8 ჯავშნიან სათარეშო გემს 9 კარგს ჯავშნოსანსა და 3 ჯავშნიან სათარეშო გემს. საქმე ის არის მხოლოდ, რომ ადმ. ვირენმა მოახერხოს და გაარღვიოს ალყა იაპონიის გემებისა და შეუერთდეს ვლადივოსტოკის გემებს.

—

ამბობენ, რომ ვითომ ლიაოიანთან იაპონიის ლაშქარი მხოლოდ გენ. ნოძუს წყალობით გადარჩა დაღუპვასაო. მარშალ ოიამასა და მთავარ ბინას მიეცათ კიდეც ბრძანება დაიწიეთ უკანაო, მაგრამ ნოძუს საშინელი წინააღმდეგობა დაეწყო და ეთხოვნა, ერთხელ კიდევ ვცადოთ ზედმისევა თავ-განწირვითაო. ნოძუ წავიდა წინ ოქუს ლაშქრის მარჯვენა ფრთის დახმარებით და გაიმარჯვაო. მარშალ ოიამას და მთავარ-ბინას დააბრუნებენ იაპონიაში, ხოლო ოიამას ადგილას დანიშნავენ ნოძუსაო. ეს ხმა უსაფუძვლო აღმოჩნდა. (რ. ვ.).

—

ინგლისური გაზეთი «Spectator»-ი უკანასკნელ ნომერში სწერდა ომის დასრულების თაობაზედ და ამტკიცებდა, თუ ომი ბოლომდე მიიყვანეს, რუსეთი დაამარცხებს და გაანადგურებს იაპონიასაო, ამის პასუხად ინგლისური გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ ინგლისი ნებას არავის მისცემს, იაპონია გაანადგუროსო. სამხედრო საზღვაო საქმის მცოდნეთა ცნობილი ორგანო „მორნინგ პოსტი“ პირდაპირ მოუწოდებს ინგლისს, მოემზადოს უდიდეს ომისათვის. (რ. ს.).

—

ბარნაულის პოლკის პოდპოლკოვნიკს ახვლედიანს ებოძა მეოთხე ხარისხის ორდენი წმ. გიორგისა 16 სეკდემბერს.

---

## ტფილისი

2 ოკდომბერს ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მიიღო მის-მიერ გაგზავნილ მისალოც დეპეშის პასუხი შინაგან საქმეთა მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკისაგან. დეპეშა შემდეგის შინაარსისაა: „დიდად მოხარული ვარ სამშობლო ქალაქ ტფილისის საბჭოს მოლოცვით. გულითა გმადლობთ გამოთქმულ სურვილისათვის“.

*** სოჭიდგან ბათუმს მოვიდა მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ა. ს. ერმოლოვი.

*** ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 30 სეკდემბერს ხოლერით ავად გამხდარა 12 კაცი, გარდაცვლილა 5 კაცი; სამი მათგანი წინადაა ავად გამხდარი; 1-ლ ოკდომბერს ავად გამხდარა 13 კაცი, გარდაცვლილა — 6, აქედგან სამი წინანდელი ავად გამხდარი, სულ ამ დღეს ავად გამხდარა 25 კაცი და გარდაცვლილა 11.

*** კვირას, 3 ოკდომბერს, კერძო კრება ჰქონდათ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ კანდიდატის დასასახელებლად. კრებაზედ წერილობით დასახელებულ იქმნენ: ქრ. ა. ვერმიშევი (23 ხმით) და ა. ს. ბაბოვი (12 ხმით). უყარეს კენჭი და ვერმიშევმა მიიღო 23 თეთრი და 14 შავი, ხოლო ბაბოვმა—16 თეთრი და 21 შავი.

*** ვაკეს ქალაქთან შემოერთებისათვის გეგმის შესადგენად ადგილობრივმა მემამულეებმა კომისიის უკანასკნელ კრებაზედ შეაგროვეს 102 მან. 68 კაპ.; დანარჩენ მემამულეებს დაეგზავნებათ წერილები, რომ შეიტანონ ფული ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში კომისიის თავმჯდომარის თავ. გ. ბ. თუმანოვის სახელზედ. თითოეულ დესეტინაზედ მემამულეთ უნდა გაიღონ 4 მან. 50 კაპ., ანუ თითო ოთხკუთხ საჟენზედ $^1/_5$ კაპ.

*** დღეს, 5 ოკდომბერს, ტფილისის მისსიონერთა ეკლესიაში, ანდრეევის ქუჩაზედ, გაიმართება პატრიოტული სადამო, რომელზედაც იტყვიან სასულიერო და პატრიოტულ სიმღერა-გალობას და წაიკითხავენ ლექსებს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.

*** ამ დღეებში პეტერბურგს გაემგზავრა, შავი-ქვის საქმეთა გამო, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი, რომელსაც, სხვათა შორის, ქუთაისის წყლის გაყვანის ამხანაგობამ დაავალა რუსეთის ერთ ერთ დიდ ქარხნის გამგეობასთან მოლაპარაკება ქუთაისში წყლის გაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის გამართვის შესახებ. როგორც ვიცით, ამ ქარხანამ შემოუთვალა ქუთაისის წყლის გაყვანისა და ტრამვაის გამყვან საზოგადოებას, გავმართავ ჩემის ხარჯით ქუთაისში წყლისაყვანსა და ელექტრონის ტრამვაის და ფული ნაწილ-ნაწილ გადამიხადეთ ცხრა წლის განმავლობაშიო.

*** როგორც გადმოგვცეს, პეტერბურგის ქართველობას განუზრახავს საკუთარის ეკკლესიის აგება, რომელშიაც წირვა-ლოცვა ქართულად იქმნება.

*** მოსკოვში დაიბეჭდა ახალი წიგნი გრ. უვაროვისა ამ სათაურით: კავკასია: რაჭა, გორის მაზრა, მთები ოსეთისა. ფშავეთი, ხევსურეთი და სვანეთი- მგზავრის შენიშვნები. არქეოლოგიურ ცნობათა გარდა, წიგნში იპოვება ეტნოგრაფიული ცნობანიცა. მოთავსებულია 18 სურათიცა.

*** ქალაქის მიწის მზომელმა ალავერდოვმა შეატყობინა 2 ოკდომბერს ქალაქის გამგეობას, რომ რადგანაც სამსახურის სსრულების დროს, პოლკოვნიკ ყორღანოვის ბრძანებით, მისმა კაცებმა წინააღმდეგობა გამიწიეს და ჩემი ნამუშევარი მიანგრ-მოანგრიეს, გთხოვთ პასუხის გებაში მისცეთ პოლკოვნიკი ყორღანოვიო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ციმბირის რკინის გზაზედ უნდა გაჰგზავნოს 12 აგენტი მიმოსვლისა. აგენტებს წელიწადში ჯამაგირად ექმნება 540 მანეთი.

*** ქ-ნ ანასტასია თუმანოვ-წერეთლისას მთავრობამ ნება დართო განაახლოს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა. ჟურნალი ეხლა უკვე იბეჭდება და სულ ახლო მომავალში გამოვა და დაურიგდება ხელის მომწერთ. ჟურნალი იმავე პროგრამითა და იმავე რედაქციით გამოვა, როგორც წინად.

*** მომავალ 1905 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი უკვე განიხილა ქალაქის გამგეობამ და ამ ჟამად უკვე იბეჭდება. დაბეჭდვის შემდეგ, ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცემა განსახილველად საფინანსო კომისიას.

*** ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოში დეზინფექცია გაუკეთეს და უკვე მოაწყეს ორი კარავი ხოლერით ავადმყოფთა დასაწვენად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ამ სენმა ტფილისშიაც იჩინა თავი.

*** 19 სეკდემბერს სად. ჩაქვას მახლობლად, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, მატარებელი დაიმსხვრა და ლოკომოტივი კი შავ ზღვაში გადავარდა. რკინის გზის მოხელენი თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ ამოიღეს ლოკომოტივი. ეხლა რკინის გზათა უფროსს უთხოვნია ბათუმის ნავთსადგურის უფროსისათვის, დაგვეხმარეთ და მცურავ ონკანით ამოგვაღებინეთ ზღვიდგან ორთქლმავალი და, თუ ვინიცობაა ონკანი წახდება, რკინის გზა გიზღავთო.

## საქართველოს ამბები

**ქ. სიღნაღი.** სიღნაღს ბევრი რამე სჭირია, ხოლო უპირველესი საჭიროებაგზის უქონლობაა: ქვემო უბანი ქალაქისა მოსწყდა ზემო უბანს, ის უმთავრესი უბანი, სადაც მოთავსებულია ყოველი სახელმწიფო დაწესებულება და მთელი ბაზარი. ერთის სიტყვით, დიდ ტანჯვავაებაშია იქ მცხოვრები ხალხი. ამ დღეს ერთი აურ-ზაური და ორომ-ტრიალია. ბეწვის ხიდ-გზაზე. დატვირთულ ურმებს და ფურგუნებს აყენებენ ხითარას დუქანთან, ჩამოჰყრიან რაც-კი ზედ უდევს, ტალახ-ლაფ-ტლაპოში, გადააქვთ მეორე მხარეს მუშებს, მერე ცარიელ ურმებ-ფურგუნები გააქვთ და ახლა იქ უდებენ ხელ მეორედ გასვრილ საცალოებს. მერე ამ ადგილს ზამთარ-ზაფხულ ტალახის მორევია. თუ დროით არ აღადგინეს გზა და მიმოსვლა, თქვენი მტერი, რაც ჩვენს ქალაქს დაემართება, აღარას შემოიტანენ და მშიერ-მწყურვალ ამოსწყვეტენ ხალხს. ჯერ სულ ერთი კვირა არ არის, რაც შეიკრა გზა და ეხლავე საგრძნობლად იკლო სოფლებიდან სანოვაგემაც—სალევლის შემოტანამ.

არ იქმნა და არა ეშველა-რა ჩვენს სიღნაღის თვითმართველობას. სწორედ ხათაბალაა ამათი საქმე, დანიშვნენ კრებას, დაუგზავნიან მოწვევის ბარათებს ხმოსნებს დიდის ხვეწნით, მობრძანდით ამა-და-ამ საღამოს ამა-და-ამ საქმეების მოსასმენათო. სიღნაღელებსაც გვგონია, ეხლა-კი გადმოგვხედა ღმერთმა, შეიყრებიან ჩვენი მამები და გაგვიკეთებენ რასმეო, მაგრამ მწარედ ვტყუვდებით. ერთი ამისთანა მორიგი კრება იყო დანიშნული ამ სეკდემბრის 23-ს უნდა განეხილათ 13 საყურადღებო საქმეს. ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს. მაგრამ კრებაც-კი ვერ შესდგა, მოვიდა ოთხიოდ-ხუთი ხმოსანი, ხოლო დანარჩენნი არ მოვიდნენ: ზოგი სოფლად წავიდა, ზოგი ჭაჭა-თხლეს აგროვებდა არაყის გამოსახდელად, ზოგი სახლს აშენებდა და ქალაქის სამმართველოსათვის არა სცხელოდათ. ზოგი რომ ასეთი დაუდევარი და გულ-გრილია, ზოგი მუყაითი და ბეჯითია, მაგრამ ორმა და სამმა რა ჰქმნას?!

მომავალ გიორგობის თვის 11-ს ახალი საბჭო უნდა იქმნას არჩეული. აგრეთვე ქალაქის მამასახლისიცა. აქ აცქვიტეს ყურები მამასახლისის ადგილის მოტრფიალეთ და გამოვიდნენ ტალიკ-ტალიკი ბიჭები, პარტიობა უკვე გაჩნდა, ჯერ ღვთით სამი პარტიაა და სამი სადილიც მიირთვეს. ყველას, ვინც-კი სიღნაღში სცხოვრობს, «გალავობა» უნდა. წყლის მამტან გალოს უთხრეს, „ბიჭო შენ-კი არ გინდა გალავათ დადგეო?“ „რატომაო, თუ კი ხუთი ვირით წყალს ვეზიდები და ამოტელა კოკებს ვეწევი, გალავობას უფრო ადვილათ არა ვიქო? დილით შევალ სამმართველოში და შუადღისას გამოვალო.

ერთი პარტია შევიდა ერთს სიღნაღში კარგათ ცნობილ კაცთან და მოწიწებით შეეხვეწა: შენი ჭირიმე, დაგვეხმარე და ესა და ეს ამოგვარჩევინე გალავათაო. რა წყალობა და ნუგეში მიიღო ამ პარტიამ—ეს საიდუმლოებითაა მოცული. ის-კი ცხადადა ვნახეთ, რომ საღამოთი მფარველის სახლიდან ტორტმანით და გარდიგარდმო წავიდა ხსენებული პარტია.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. სწორედ სიღნაღელ მძინარა ხალხს არგო ეხლანდელმა საშინელმა შორეულ აღმოსავლეთის ომმა. ყველა დაინტერესებულია, ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს ჟურნალ-გაზეთებს და გატაცებული კითხულობს ამბებს. ყველას უნდა, ადრე გაიგოს ომის ამბები, კითხულობს ჩინოვანი, მღვდელი, ვაჭარი, ხელოსანი, და ასე გაშინჯე, კურტან აკიდებული მუშაც კი. გაიარეთ დილით ბაზარზე, ყველა დუქნის კარზე გადაუშლიათ გაზეთები, ქართული თუ რუსული და კითხულობენ. გარშემო შეგროვილნი კიდევ ყურს უგდებენ. ამ გამოფხიზლებით ისარგებლა ბ-ნ ს. ამირაღოვმა და დაუწყო ცალობით ყიდვა გაზეთების «ნომრებს 3—5—10 კაპეიკამდე და ხან 15 კაპეიკათაც. ჰყიდის, როგორც მუშტარს შეხედავს, მუშტარი-კი ყოველთვის არი, საღამოთი დილიჟნებს ბრბო ხალხი ელის გაზეთებისათვის, ბევრს, ვისაც დაკვეთილი აქვთ გაზეთი, მოსვლას აღარ უცდიან და ნომრობით ყიდულობენ, რომ ცოტა ადრე წაიკითხონ ახალი ანბავი. ამისათვის არა ჰზოგვენ 3, 5, 10 და თითქმის 15 კაპ

სიღნაღელი.

**ხონი.** კიდევ ავაზაკობა! ორი კვირა არ გასულა მას უკან, რაც სამტრედიასა და ხონს შუა დილიჟანს დაეცნენ ავაზაკნი და გასძარცვეს მგზავრნი. ზოგს თითო მანეთი და მანათ ნახევარი წაართვეს, ახლა კიდევ, 1 ოკდომბერს, დაესხნენ თავს ავაზაკნი დილიჟანსს. მგზავრნი და მეეტლე ყოჩაღად მოიქცნენ. ავაზაკებმა მხოლოდ ერთი ცხენი დასჭრეს რევოლვერით სუბუქად. მეტის მეტი ავი დრო დაგვიდგა სწორედ. შიშით კაცი კარში ვერ გასულა და მგზავრობა ვერსად გაუბედნია!

იდია ბახტაძე

## ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

შემდეგი *)

რასაკვირველია, ზემოდ მოხსენებული ამერიკული წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც გამოწვეულია ინგლისურ ენის & მის მართლ-წერის სიძნელით, ბევრს პედაგოგიურს სიმართლესაც შეიცავს, მაგრამ ჩვენს ქართველ პედაგოგებს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ სახმო მეთოდი წერა-კითხვის სწავლებისა არც ერთს ევროპიულს ენას ისე არ უხდება, როგორც ქართულ ენას, რომელშიაც ყოველი ხმა იხატება ერთის ასოთი და არა ორისა და სამით და ზოგჯერ ოთხითაც, როგორც ზოგიერთ ევროპიულს ენებშია, თითქოს სახმო მეთოდი განგებ მოგონილი იყოს ქართულის ენისათვის, როგორც ზედ გამოჭრილი ქართულ ენის ანბანისათვის. ქართული ენისთანა მარტივი მართლ წერის მხრივ ხომ არც ერთი სხვა ენა არ არის. სახმო მეთოდის ერთი საუკეთესო თვისება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ამ წესით სწავლების დროს ყველა ცოტად თუ ბევრად გამოცდილს მასწავლებელს ადვილად შეუძლიან დაიცვას სწავლების დროს მოწაფეთა თვით-მოქმედება, რომელიც ფრიად საჭიროა და აუცილებელი ყოველ სწავლების დროს და რომელიც ქვა-კუთხედად უნდა იქმნას აღიარებული სწავლების საქმეში; დარღვევა მოწაფეთა თვით-მოქმედებისა თავიდანვე უნდა ჩაითვალოს დიდ პედაგოგიურ შეცდომად. ეხლა ვნახოთ ფხიზელი პედაგოგი როგორ რჩევას აძლევს მასწავლებლებს კითხვის შესასწავლად: „თან წერეთ და თან იკითხეთ, რომ გაათავებთ, უთხარით ბავშვებს, რომ აი მე კიდევ ერთხელ წავიკითხავ თითის დადებით და თქვენ დაიხსომეთ, სად რა სიტყვას ვიტყვიო“ (მოგზ. დამ. 1902 წ. წიგნი მეოთხე). მასწავლებელი სწერს საკლასო დაფაზე და თან კითხულობს: ეს არის ია. ეს არის ძაღლი. ეს არის ფოთოლი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოქმედობს, მოწაფეები ყურს უგდებენ—იმათ არც ერთი ხმა, ასო ამა თუ იმ მოყვანილ წინადადებაში არ იციან, მხოლოდ იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი ჩასძახის. ეს რაღაც უცნობი ნიშნებია—ასოები ყველა მოქმედობს ბავშვზე, ჰფანტავს მისს ყურადღებას და უკარგავს ხალისს, რადგანაც რამდენისამე უცნობის ასოს რამდენსამე წინადადებაში ერთბაშად შეთვისება ძნელი სამუშაო, ბავშვებისათვის. ეხლა ვიკითხოთ, არის აქ დაცული სწავლების დროს ბავშვის თვით მოქმედება თუ არა? რასაკვირველია, არა. ამ შემთხვევაში მოწაფენი გადიქცევიან ხოლმე მასწავლებლის აქტიურ მოქმედების პასსიურ მსმენელებათ. მაშასადამე, თავიდანვე მოწაფეთა თვით-მოქმედებას მოკლებული სწავლება აჩვევს ისეთს არა სასურველს თვისებას, რომელიც არა თუ სასარგებლოდ, არამედ მავნებლად უნდა ჩაითვალოს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ჩვეულებრივის სახმო მეთოდს წერა-კითხვის სწავლებისას წინ უსწრებენ ესრედ წოდებული წერის მოსამზადებელი სავარჯიშოებიც, რომელიც შესდგება ასოების ელემენტების შესწავლიდგან, ადვილიდან ძნელზე გადასული ეს სავარჯიშოები ძალიან უადვილებს მოწაფეებს საზოგადოდ წერის შესწავლას, აჩვევს დაკვირვებას და უფრო ნაყოფიერად ჰხდის სწავლებას: „მოგზაურის“ პედაგოგიური წერილები წერისათვის საჭირო წინასწარ სავარჯიშოებს ყურადღებას არ აქცევს. პირიქით, წერას თავდაპირველად აწყებინებს ასე: «ეს არის ია», გამოწერს ამ წინადადებას საკლასო დაფაზე და შემდეგ ურჩევს მასწავლებლებს: „ივარჯიშეთ ამ წინადადებისა და სიტყვების წერაში იმ დრომდის, სანამ კარგად და შნოიანად არ ისწავლიან მათს წერას“. ამ წინადადებაში ზოგი ისეთი ასოა, მაგ. «რ», რომ მისი შესწავლა წერით გაუძნელდება მოწაფეს, თუ წინდაწინვე არ უსწავლია ასოების ელემენტების წერა. ზემო მოყვანილის რჩევით ვერც პატარა მოწაფეები, რომლებიც პირველად იღებენ კალამს ხელში და ვერც მათი მასწავლებლის რჩევის მიმყოლი, ვერას გახდებიან. არიან ისეთი პედაგოგებიც რუსეთშიაცა და ევროპა-ამერიკაშიაც, რომლებიც წერისათვის საჭირო წინასწარ სავარჯიშოებს უარს ჰყოფენ. უეჭველად იმათ მიბაძველობას იჩენენ ჩვენებური მოგზაურის თანამშრომელი პედაგოგებიც, რომელთაც, როგორც ვიცით, არ დაუმტკიცებიათ ის აზრი, რომ წერის შესასწავლად საჭირო პირველ დაწყებითი სავარჯიშონი უსარგებლო და მავნებელი იყოს. უცხო ქვეყნების ზოგიერთი პედაგოგები კი თავიანთ მოსაზრებას ამ საგნის შესახებ იმაზე ამყარებენ, რომ ასოების ელემენტების წერა ერთგვარი მექანიკური სავარჯიშოა და ამიტომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირველ დაწყებითს სწავლებაშიო. მაგრამ არც ამ მოსაზრებაში ვხედავთ სალს შეხედულობას. სწავლებას ცუდი შედეგი მაშინ მოჰყვება, როცა შეუგნებელია, როცა ბავშვებს არ ესმით, რასა სწერენ და მექანიკურად ჰბაძავენ, გადმოაქვთ სხვის დაწერილიდან შეუგნებლად. მაშინ წერაც ჰკარგავს მოწაფეზე აღმზრდელობითის მნიშვნელობის გავლენას. კარგს, ლამაზსა და სუფთად წერას მაშინ აქვს გავლენა მოწაფეებზე აღზრდის მხრივ, როცა ამგვარად ნაწერი არის პირდაპირი შედეგი ყოველის მხრივ ბავშვის შეგნებულ სულიერის მუშაობისა. თუ მოწაფეს შეგნებული ექნება, რასა სწერს ასოების ელემენტებიდან დაწყებული, როგორ უნდა დაწერა რომელსამე ასოს, სიტყვებს, ფრაზებს და სხ., თუ თავიდანვე დაეჩვევა ასოების სიმმეტრიულად წერას, გამოცნობას კარგისა და ცუდის ნაწერისას, თუ წერის საქმესთან შეერთებული იქმნება არა მარტო ხელით ვარჯიშობა, არამედ მოწაფის სულიერი განვითარებაც, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლიან წერას მოუტანოს მოწაფეს კარგი ნაყოფი აღზრდის მხრივაც და არა მაშინ, როცა გამოუწერ დაფაზე რამდენსამე სიტყვას და წინადადებას & ურჩევ მასწავლებელს — «აწერინე ის, სანამ კარგად არ დაისწავლონო». შეიძლება ამნაირის რჩევის მიხედვითაც შეისწავლონ მოწაფეებმა როგორმე წერა, მაგრამ ეს იქნება ნაყოფი ხელოსნობისა და არ ხელოვნებისა, რომელთა შორის უპირატესობა ყოველთვის უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ აწარმოებს თვალსაჩინო გაკვეთილებს, სასაუბროებს «მოგზაურის» პედაგოგი. პირველი თვალსაჩინო გაკვეთილი შეეხება აღწერილობას. მასწავლებელი ხმარობს ისეთს კითხვებს, რომლებ შორისაც არ არის სავსებით დაცული ლოგიკური კავშირი. დაკვირვებითის სწავლის აზრია თავდაპირველად თავიანთ სასაუბრო საგნის გარეგანი აღწერილობა და თითოეულ ნაწილის დასახელება. ამას შემდეგ გადა-

*) იხ. „ივერია“, № 223.

ვლენ თვით სასაუბრო საგნის სხვა თვისებაზედაც. გაკვეთილის ავტორს კი ეს ორივე გარემოება ერთმანეთში არეული აქვს; კითხვას—«რით არის შესანიშნავი ია»! მოჰყვება შემდეგი კითხვა—«რამდენი უმთავრესი ნაწილი აქვს ის»? ბავშვის გონებას იპყრობს ხან იის თვისება და ხან მისი გარეგანი აღწერილობა. ამისათვის ამგვარ კითხვებზე პასუხის მიღება ბავშვებისაგან საადვილო არ არის. ამასთან თვითონ კითხვა: „რა უმთავრესი ნაწილი აქვს ის»? თავდაპირველად ძნელია ბავშვებისათვის, თუ გავარჯიშებულნი არ არიან წინადვე საგნების აღწერილებაში, რადგანაც ამ კითხვაში სიტყვები ნაწილი და უმთავრესი უცნობია მათვის. ჯერ კითხვების შემწეობით მოწაფეებმა უნდა შეიგნონ, რომ რომელიმე საგანი შესდგება ნაწილებისაგან და შემდეგ მასწავლებლის კითხვებისვე შემწეობით გამოაკვლიოს ის ცნება, რომ ზოგიერთი ნაწილები საგნებისა იწოდება უმთავრესად. ამას გარდა კითხვა-პასუხში იის შესახებ მოყვანილია ბევრი დაწვრილებითი ცნება, რომლის პირდაპირ პასუხს ვერაოდეს ვერ მიიღებთ ბავშვებისაგან და რომლის დახსომებაც ერთს გაკვეთილზე შეუძლებელია, რადგანაც ეს ცნობანი სულ ახალია ბავშვებისათვის მაგ.: ყუნწი, კუწუბო, ბუდე, ჯიდა, ძრო, ბუტკო, სთსანი, მკედი, ნასკვი და სხ. პედაგოგის გულითადი წადილია ახალის ცნებებით გაამდიდროს ბავშვის მეტყველება, მაგრამ საშუალება კი ანტიპედაგოგიურია. ყოველის ახალის საუბრის შემდეგ აუცილებლად საჭიროა, რომ მოწაფეებმა განიმეორონ საუბრის შინაარსი მასწავლებლის დაუხმარებლად. ეს მთავარი აზრი კი ყოველ სასაუბროში უყურადღებოდ რჩება პედაგოგს, მაშასადამე, ვერც ერთი მისი გაკვეთილი პირდაპირ დანიშნულებას ვერ მიაღწევს. პედაგოგი ეუბნება მოწაფეებს: «ია არის ყვავილი», «ია არის მცენარე», «ია არის ბალახი». არც ასეთი ცნებათა არევაა პედაგოგიური. ბავშვის ფხიზელი გონება ამ ფრაზების საფუძვლით დაასკვნის, რომ თუ ია ყვავილიც არის და ბალახიც, მაშასადამე, შეიძლება სხვა ყვავილსაც ბალახი ვუწოდოთ და ბალახს—ყვავილი.

ეხლა გადავიდეთ მეორე გაკვეთილზე, რომლის საგანიც არის თითის აღწერილობა. საუბარი აქაც გაჭიანურებულია; ქართველ პედაგოგს არ მოსწონს თითების ქართული სახელები და პირდა-პირ რუსულიდან თარგმნის: ცერს ეძახის დიდ თითს, სალოკს—მაჩვენებელს, არათითს უსახელოს და სხვა. მესამე გაკვეთილი ეხება თხის აღწერილობას. პედაგოგი აქცევს ყურადღებას თხის მხოლოდ გარეგანს აღწერილობას. არც ერთს კითხვას არ იძლევა იმის შესახებ, თუ რით იკვებება თხა, სად ცხოვრობს და რით არის სასარგებლო და სხვა. ამას გარდა, ვკითხულობთ შემდეგს ფრაზას: «სადაც თხა კუნტრუშით გაინავარდებს, იქ ცხვარი უეჭველად გადიჩეხება». ამ შედარებით ავტორს უნდა ეთქვა, თხა ცხვარზე უფრო მარდიაო და უკეთესი აზრი ვერ გამოუთქვამს. ამისთანა უხერხული ფრაზები აღწერილობაში შემდეგს გაკვეთილშიაც ბლომად არის, მაგალითად: «თუთა ხეა», «თუთა ხეხილია», «თუთა ხილია». აქ ერთის ცნებით ხილიც იხატება, ხეც და ხეხილიც. თუ ნაყოფს თუთას ვუწოდებთ, ხეს თუთის ხე რომ ვუწოდოთ, უფრო კანონიერი იქმნება. «მე უფრო თეთრი და ჭროლა თუთა მიყვარს, ნიკოს კი—შავი, ნიკოს შავს თუთას კი ნუ მოაკლებ და პურს თუნდა მთელს დღეს ნუ აჭმევ». ამისთანა ფრაზებით აზავებს პედაგოგი თუთის ხის აღწერას, რომელსაც საგნის შესწავლასთან ისეთი კავშირი აქვს, როგორც მისს პედაგოგიურს მოსაზრებას ნიკოს გემოვნებასთან. მაგრამ მგონი ნიკო შავ თუთას უფრო მოინელებს, ვიდრე «მოგზაურში» დაბეჭდილ გაკვეთილებს.

დ. ბოცვაძე.

(დასასრული იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** შაბათს, 2 სეკდემბერს, სახაზინო თეატრში პირველად გამართა საგანგებო (გალა) წარმოდგენა, ამ დღისათვის ბ-ნმა დონსკოიმ დასდგა უკვდავ მეიერბერის მეორე შესანიშნავი ოპერა „იოანნე ლეიდენელი“ ანუ «წინასწარმეტყველი».

ეს ნაწარმოები მეიერბერისა თუმცა, ჩვენის აზრით, «ჰუგენოტებზედ» უფრო სუსტია, მაგრამ მაინც სხვა საუკეთესო მუსიკალურ თხზულებათა შორის პირველობას არავის დაუთმობს. «წინასწარმეტყველში», როგორათაც „ჰუგენოტებში“, დრამატიულ მომენტების მუსიკალური დასურათება შესანიშნავია; კერძო მოქმედთა სულიერი ვითარება ჰანგთა საკვირველის შეხამებით არის გადმოცემული. მაგალითად, მეორე მოქმედების არიოზო იოანესი, დუეტი ფიდესისა და ბერტასი პირველ მოქმედებაში, მათივე დუეტი მეოთხე მოქმედების პირველ სურათში, მთელი სცენა იოანესი და მისი დედის ფიდესის შეხვედრისა დაგვირგვინების დრო. შეუდარებელია აგრეთვე მესამე სურათის ანსამბლი, რომელშიაც ხალხის საერთო აღტაცებას ისე ეკილოკავება იოანეს საგმირო სასიმღერო, როგორათაც ზღვის თვალ გადაუწვდენელ დაღინჯებულ ზედაპირს მთასავით აგორებული ტალღა.

ნაკლულევანება ამ ოპერისა ის არის, რაც „ჰუგენოტებში“ მკაფიოდ და თვალხათლივადაა აღბეჭდილი—სისუსტე სარწმუნოებრივის იერის გამოხატვისა, რომელიც ერთშიაც და მეორეშიაც დვრიტაა ყველა ჰანგებისა, საერთო ქარგაა. ოპერა «წინასწარმეტყველი» ანაბაპტისტთა მოძრაობას შეეხება და იმათი მოძრაობა ხომ სარწმუნოებრივ ნიადაგზედ იყო აღმოცენებული და თვის განვითარებაში პოლიტიკური ელფერიც მიიღო.

მხოლოდ პირველ მოქმედების დასაწყისში, როდესაც ანაბაპტისტნი ზაქარია, იონა და მატისენი გამოდიან, გაისმის ორკესტრში და თვით ანაბაპტისტთა სიმღერაში რელიგიურის ელფერით მოსილი ჰანგი. ამგვარივეა «სალიტანიო მარში» მეოთხე მოქმედების მეორე სურათისა, როდესაც იოანნე დასაგვირგვინებლად მიჰყავთ ტაძარში და გალობა მღვდელ-მსახურების დროს. დანარჩენ სცენებში კი არ სჩანს ეს მთავარი მუსიკალური იდეა და ამიტომ ოპერას მთლიანობას უკარგავს.

იოანნეს პარტია ძნელი სასიმღეროა. სულ მაღალ ფარდებში აქვს მომღერალს ხმის ტრიალი და რამდენსამე ადგილას უმწვერვალესობამდე აღწევს—დო—მდის (მესამე მოქმედების მესამე სურათში და ოპერის დასასრულში).

ბ-ნი დონსკოი ერევა ამ პარტიის სიძნელეს. არც ერთ მაღლა ასაყიდებელ ადგილას არტისტისათვის ხმას არ უმტყუნნია, სამაგიეროდ მისი ხმა მაღალ ფარდებში უფრო მეტყველია, განსაკუთრებით სი—ს ფარდაში, ვიდრე დაბალში, მაგალითად მესამე მოქმედების მესამე სურათის ანსამბლში მისმა ხმამ დაჰფარა ორკესტრისა და ხორის ხმაურობა. საშუალო ფარდებში მისი ხმა როგორღაც უელფეროა, სიმჭახე აკლია, თითქოს ამოძახილს სითრითვანა რამ ქსოვილი ჰქონდესო გადაფარებული. მეცო-ვოჩე (ხმა მიბნედილი სიმღერა) თუმცა სასიამოვნოა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მოუქნელობა და რყევა ეტყობა, განსაკუთრებით როცა ამოძახილს აგრძელებს. მუსიკალური ალღო არტისტს საკმაოდ აქვს მიმადლებული და ამის წყალობით თითოეულ მის მიერ თქმულ ფრაზას აზროვნება და გამომეტყველება თანა სდევს, რის გამოც ესა თუ ის ჰანგი მრავალ-ფეროვანობის იერით იმოსება. გარეგანი გადმოცემა როლისა, ე. ი. დრამატიული დასურათება გმირის სულიერ ვითარებისა მაგრე რიგად ვერ ეხერხება არტისტს, რადგანაც სახე ნაკლებად აქვს მოძრავი და გამომეტყველი; მიხვრა-მოხვრაც როდი აქვს სხარტი, მედიდური, შნოთი და ლაზათით სავსე. მაინც ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მსმენელ საზოგადოებაზედ ბ-ნმა დონსკოიმ იოანნეს როლში და მრავალი ვაშას ძახილი, ტაშის კვრა ჰხვდა წილად.

ქ-ნთ შიხუცკაიასა (ფიდეს) და ანტონოვას (ბერტა) შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ორივეს შესანიშნავი ხმები აქვთ, პირველს—კონტრალტოს ხასიათისა და მეორეს ლირიულის სოპრანოსი, თუმცა თავის თავს, როგორც სხვა მის მიერ ნაკისრებ პარტიებიდამ სჩანს, კოლორატურულ სოპრანოდ სთვლის, რაც, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომაა. მომავალში ორივენი თვალსაჩინო აღმასრულებელნი იქმნებიან ფიდესის და ბერტას როლებისა; შაბათის წარმოდგენაში-კი საკმაოდ კოჭლობდნენ, გაბედულება და პარტიების ბეჯითად ცოდნა აკლდათ, განსაკუთრებით ქ-ნ შიხუცკაიას და მოფიქრებული, გამომეტყველი გადმოცემა მოქმედთა დრამატიულ მდგომარეობისა.

ბ-ნნი გალეცკი (ზაქარია), ზალიპსკი (იონა) და დემიანენკო (მატისენი) სიმღერით კარგად მღეროდნენ, მაგრამ გარეგანის თამაშობით კი მათ ნაკლებად დაგვიხატეს სარწმუნოებრივი ფანატიკოსები.

ხორო გაბედულად ვერ ამბობს თავის სასიმღერო ნომრებს, რადგანაც ჯერ-ჯერობით კარგად ვერ შეუთვისებიათ ჰანგები. ოპერა კარგად არის მოწყობილი, მაგრამ სტატისტების მოძრაობა სცენაზედ საშიშლად არეულ-დარეულია და უაზრო. ლიტანიაში თითქმის არც ერთ სტატისტ—ჯვარის-კაცს გრიმი არა ჰქონდა და სასაცილონი იყვნენ თავიანთის დაკარგულის სახის იერით. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

ი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

შინაგან საქმეთა მინისტრს უთქვამს «რუსის» თანამშრომლისათვის:

ერობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ საქმეში, რომელსაც აზრად აქვს სარჩოთი უზრუნველი იყოს ერი. საზოგადოდ ერობას დიდს მნიშვნელობას ვაძლევ. გამოცოცხლება ერობისა კეთილად იმოქმედებს ჩვენის სამშობლოს დოვლათიანობაზედ. ზემოხსენებულ საქმის გამოწირვა ერობისაგან არ ივარგებს: ეგ არა თუ უფლებაა მისი, არამედ მოვალეობაც.

ერობის შემოღება საჭიროა იქაც, სადაც ჯერ არ არის შემოღებული, მაგალითად ასტრახნისა, არხანგელსკისა, ორენბურგისა და სტავროპოლის გუბერნიაში.

რაიცა შეეხება განაპირა ქვეყნებს, მე კარგად ვიცი მათი საჭიროება, მომეტებული დრო სამსახურისა იქ გავატარე. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ განაპირა ქვეყნებს ნება ჰქონდეთ ზოგიერთი საგნები დამოუკიდებლივ გადასწყვიტონ, იმიტომ რომ უმაღლესს მთავრობას ყოველთვის არ შეუძლიან იცოდეს ყოველივე წვრილი განაპირა ქვეყნების საქმისა, ამიტომ არც შეუძლიან მსჯელობა იქონიოს იმაზედ, რა უპირო და რა ღონისძიების მიღებაა საჭირო მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ეროვნებათა შესახებ ბევრი რამ ეწერა უცხოეთის გაზეთებში, ვითომ ჩემ მიერ თქმული, მაგრამ სწორედ არ ეწერა.

— ეგ საქმე მწვავე საქმეა, დიდის ტკივილების გამომწვევი. დიდის სიფრთხილით უნდა მას მოექცევა. თუნდა თანხმა ვიყოთ იმისა, რომ საჭიროა დავიცვათ ინტერესები მკვიდრ რუსთა, მაინც ზომიერება უნდა იქმნას დაცული. ყოველ შემთხვევაში ფიქრად ის უნდა გვქონდეს, რომ საგრძნობელი ზარალი არ მივაყენოთ ხალხს, არა-რუსთა, თორემ ჩვენში ბევრი ისეთი ღონისძიებაა მიღებული, რომელსაც არსებითი სარგებლობა არ მოჰქონდა იმათთვის, ვისთვისაც იყო მიღებული და ამასთანავე კი დიდს ზარალს აძლევდა იმათ, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

—

«სუდ. ობოზ.» სწერს, რომ ახლა დროა გადასინჯულ იქმნას დებულება საერობო უფროსების შესახებ (**земскіе начальники**), რაკი წარმოითქვა ასეთი სიტყვა, «მთავრობის მოქმედების ნაყოფიერება დამყარებულია იმაზედ, რომ გულ-წრფელად, კეთილ სურვილით და ნდობით უნდა მოექცეს მთავრობა საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებათა და საზოგადოდ მკვიდრთაო», ახლა, მაშ, რაღა ადგილი უნდა ჰქონდეს იმისთანა ინსტიტუტს, რომელიც უნდობლობით იყო გამოწვეული. საერობო უფროსები იმიტომ გააჩინეს, რომ ერობისათვის ფრთა შეეკვეცნათ, მოსპობილიყო ამორჩევა მომრიგებელ მოსამართლეთა, არსებობა სამაზრო და საგუბერნიო საგლეხ-კაცო საკრებულოთა, რომელთა უეჭველ წევრთ ირჩევდა ერობა. რაკი ისე ეგონათ, რომ მკვიდრნი უძლურნი არიან თვითი მოუარონ თავიანთ საქმესაო, საჭიროდ დაინახეს გაძლიერება დისციპლინისა, დაწესება «ოპეკისა» და ისეთის ინსტიტუტის შემოღება, რომელსაც მოსამართლეობის ძალაცა ჰქონოდა და ადმინისტრაციულიცა ერთსა და იმავე დროს.

—

«რუსკ. ვედ»—ი ამბობს, რომ კარგი ნიშანია, თუ მართლა გადასწყდა, შეაყენონ გადასინჯვა საგლეხ-კაცო კანონდებულებათა, რათა ეგ მუშაობა მერე განახლდეს ახალის წესითა და გეგმითაო. სწორედ სასიამოვნო იქნება, თუ მაგ საგნის განსჯა, როგორც ისმის, გადაიტანეს გუბერნიებსა და კომიტეტებში, სადაც, მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი ერობისა და თავად-აზნაურობისაო.

ისე იყო შედგენილი წინანდელი პროექტები, რომ ქვეყანას ვერ დააკმაყოფილებდა. გლეხ-კაცობა ისევ განცალკევებული რჩებოდა იურიდიულად და უნდა ისევ დაქვემდებარებოდა საერობო უფროსთა მზრუნველობის ზედამხედველობას. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება ცხოვრების მოთხოვნილებასა და იმათს აზრსა და შეხედულებას, ვინც კარგად იცის გლეხ-კაცობის მდგომარეობა. დროა ახლა მაინც გლეხ-კაციც ადამიანად ვიცნოთ და არა ბალღად, ისეთ ადამიანად, რომელსაც შეუძლიან თავისი საქმე თვითონვე განსაჯოს და ბევრად უფრო უკეთ, ვიდრე ეს შეუძლიან მემამულეს ან ვაჭარს. დროა, დავრწმუნდეთ, რომ ჭოჭიალით ტარება მრავალ მილიონიან ხალხისა ყოვლად შეუსრულებელი ბიუროკრატიული უტოპიაა, რომელსაც ხელ მძღვანელობა კი არ მოსდევს ცხოვრებისა, არამედ დასახიჩრება. ამის საბუთები არა ერთი და ორია წარსულში.

შემდეგ გაზეთი საუბრობს იმაზედ, თუ რა ვითარებაა საჭირო მეურნეობის განსაკარგებლად რუსეთში.

მეურნეობა ვერ აღყვავდება იქ, სადაც ცოტაა ჰაერი და სინათლე. მეურნეობის აღყვავებისათვის საჭიროა თავისუფალი სივრცე და ცხოველ-მყოფელი სხივები საზოგადობრიობისა. ისეთი ვითარება უნდა შეიქმნას, რომელიც ხელს უწყობდეს კერძო თაოსნობას და თვით-მოქმედებას. უამისოდ ვერც მეურნეობა ამაღლდება რუსეთში და ვერც გლეხ-კაცობის ოჯახში მოიკიდებს ფეხს დოვლათი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ოკდომბერი

**ტოკიო,** 1 ოკდომბერი. (რეიტერი). წუხელის მიღებულ ოფიციალურ მოხსენებაში იაპონელების გამარჯვების ამბავია აწერილი. მარჯვენა ლაშქრის (კუროკის) მარჯვენა რაზმს ხაოსენლინთან რუსები დიდის ჯარით დაეცნენ, მაგრამ იაპონელებს მაშველი ჯარი მიუვიდათ და თითონვე მიიტანეს რუსებზე იერიში. მარჯვენა ლაშქრის შუა რაზს ამ ჟამად იერიში მიაქვს რუსების ძლიერ რაზმზე. ამავე დროს მარცხენა ლაშქარს (ოკუს) მარჯვენა ფრთამ გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ შაოტაკუს ჩრდილოეთით სიმაღლე დაიჭირა, ეს სიმაღლე ყელია რუსების პოზიციებისა. შუა ლაშქარი (ნოძუს) გამარჯვებით განაგრძობს რუსებზე მიტანილ იერიშს. ამ ლაშქარმა ხუჩიაკუჩიაძის და მანჩიაფუს ჩრდილოეთით სიმაღლეები აიღო. მარცხენა ლაშქრის შუა რაზმს იერიში მიაქვს შახეპუზე, ხოლო მარჯვენა რაზმს კი—ხუანხუტანზე. მზის ჩასვლის შემდეგ მარცხენა რაზმის მარჯვენა ფრთეს ერთმა ნაწილმა ლიუჩინპუზე მიიტანა იერიში, მეორე ნაწილმა ვანჩიანგუაძი აიღო. მარცხენა ლაშქრის მარცხენა რაზმმა ხეილინ პიუძსა და ფუჩატანს შუა ადგილები დაიჭირა. იაპონელებს განუწყვეტლივ მოსდის მაშველი ჯარი იანთაისთან.

**ტოკიო,** 1 ოკტომბერი. ოიამამ დაწვრილებითი მოხსენება გამოგზავნა 29 და 30 სეკდემბერს მომხდარ ბრძოლის შესახებ. რუსებმა 29 სეკდემბერს ბენსიხუსაკენ რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აქციეს. ნაშუადღევის 5 საათზე რუსებმა პირველად იწყეს უკან დახევა. იაპონელები იერიშით მისდევნენ. 30 სეკდემბერს, დილით-ადრე დიდი ცხენოსანი რაზმი, პრინც კანინის უფროსობით, რუსების მარცხენა ფრთეს უკანა რაზმს გვერდიდან უვლიდა და ამით იაპონელებს მოქმედება გაუადვილა. მარჯვენა ლაშქრის მარჯვენა რაზმი ამ ჟამად იერიშით მიდის რუსებზე ხაოსენლინთან, ხოლო შუა რაზმმა კი ლიენხუანჩანის მიდამოებში სიმაღლეები აიღო. ამავე ლაშქრის მარცხენა რაზმის მარჯვენა ფრთეს ამ ჟამად იერიში მიაქვს უკან დარჩენილ რუსის ჯარზე, ჩაომაკუს ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებთან. მარჯვენა ლაშქრის მოქმედება სასურველის გამარჯვებით არ მიდის, რადგან ადგილ-მდებარეობა ხელს უშლის. შუა ლაშქრის მარჯვენა რაზმმა 10 საათზე ხუჩიაკუნძის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებისაკენ გაილაშქრა. 2 საათზე არტილერიამ უკან დაწევა იწყო. მარცხენა ლაშქრის მარჯვენა რაზმმა ფანჩაპუ აიღო. ამ რაზმს იერიში მიაქვს ხუნშატანს ახლო. როგორ მიდის ბრძოლის საქმე, არ ვიცით. ჩენხუანტიანს ახლო რუსის არტილერიის რამდენიმე ბატარეია წინააღმდეგობას გვიწევს. მარცხენა ლაშქრის მარჯვენა ფრთეს იერიში მიაქვს რუსებზე ხუნინპოსთან. მაშველი ჯარი განუწყვეტლივ მოდის იანთაის.

**ჩიფუ,** 2 ოკდომბერი. (რეიტერი). იაპონელი, რომელსაც საუბარი ჰქონდა სამხედრო უფლებასთან ნიუ-ჩუანში, იუწყება, რომ იაპონელები ტელინთან ჰფიქრობენ ომის დასრულებას, სადაც დიდი ბრძოლა უნდა მოჰხდეს, იაპონელები ჰფიქრობენ, რომ რუსები მუკდენთან მედგარ წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

**ხარბინი.** (საკ. კორ.). ხმებია, 1 ოკდომბერს გამწვავებული «ბრძოლა» იყოო. ყველაზე უფრო ძნელ მდგომარეობაში მე-17 კორპუსი იყო, რომელმაც დროზე საშველად მოსულ მე-6 კორპუსის წყალობით შეინარჩუნა ყველა დაჭერილი პოზიცია. ჩვენმა ჯარებმა ექვსჯერ უკუაქციეს იერიშით მოსული მტერი. იაპონელთა არტილერია სამჯერ იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტნა. ჩვენ, ალბად, დიდი ზარალი გვაქვს. 1 ოკდომბერს, საღამოთი, დაჭრილები მოვიდნენ. ბრძოლა არ შეწყვეტილა.

ხმებია, ვითომც იაპონელთა ლაშქარს საგრძნობლად ამარცხებენ რუსებიო. მოვიდა დონის ყაზახთა პირველი რაზმი.

**მოსკოვი.** შორეულ აღმოსავლეთიდგან ჩამოსული არტილერიის პორუჩიკი შჩერბოვიჩ-ვეჩორი ამბობს: «როცა იაპონელები საომრად ემზადებოდნენ, მანჯურიის ბევრ სოფელში სამხედრო მასალის ფარული საწყობები გამართეს, რომელსაც ყაზახებმა მიაგნეს სურსათის ძებნის დროს. შჩერბოვიჩ-ვეჩორი დასწრებია გენერალ კელლერის გარდაცვალებას. 15 წუთის წინ შჩერბოვიჩ-ვეჩორმა ჯარის კაცი გაუგზავნა კელლერს და გააფრთხილა, იაპონელებმა შეგამჩნიესო. სიკვდილის წინ კელლერმა ერთად-ერთი სიტყვა სთქვა: «გადაეცითო»... იანზელინის უღელ-ტეხილზე რუსის ჯარი იმდენად დაზარალდა, რომ ერთ ზარბაზანთან მხოლოდ 4 კაცი დარჩა, მეორესთან კი ერთად-ერთი დაჭრილი შტაბს-კაპიტანი კოსტროვი». მოსკოვში მოსული შჩერბოვიჩ-ვეჩორის ცოლი, რომელიც მოწყალების დად იყო, ამბობს: «ჩვენ საავადმყოფოში ერთი ჯარის კაცი იწვა, რომელიც იაპონელებმა აწვალეს, კანში ხანჯალს უყრიდნენ და თავის კინი დაუჩხვლიტესო».

**ბერლინი.** 2 ოკტომბერს გარგაიცვალა პილნიცის სასახლეში საქსონიის მეფე. ტახტზე ავიდა ახალი მეფე ფრიდრიხ-ავგუსტ მე-III.

**დრეზდენი.** იმპერატორმა ვილჰელმმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ახალ მეფეს, რომელშიაც ამბობს: «მეფე სამშობლოს შეერთების დიდებულ დროის ერთი დამსწრეთაგანი იყოო».

**კილნიცი.** განსვენებულ მეფის გვამს დრეზდენში გადაიტანენ 4 ოკტომბერს; დაკრძალვა მოჰხდება 6 ოკდომბერს.

3 ოკდომბერი.

**ტოკიო,** 2 ოკდომბერი. (რეიტერი) როგორც გენერალ ოკუს მოხსენებიდანა სჩანს, 27, 28 და 29 სეკდემბერს იმის ჯარში მოკლულა 4 და დაჭრილა 31 აფიცერი. 2 აფიცერიც უკვალოდ დაკარგულა. ოიმას ანგარიშით, რუსებს მოკლული და დაჭრილი ჰყავთ ოც-და-ათი ათასი კაცი. ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ რუსები უკან იწევენ.

**ლონდონი** («რეიტერი») ოკუს ჯარის მთავარ-სადგომიდან ფუზანის გზით იუწყებიან თარიღის აღუნიშვნელად, რომ, როგორც მარცხენა ჯარის დივიზიის უფროსთა მოხსენებიდან გამოირკვა, ამ ჯარის გუშინდელი გამარჯვება უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე წინად ჰფიქრობდნენ. როდესაც რუსებმა უკან დაწევა დაიწყეს, იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს ოცდა-ოთხი ზარბაზანი და მრავალი სხვა იარაღი. საპასუხო იერიშების დროს რუსებს ძალიან დიდი ზარალი მოუვიდათ. იაპონელების ზარალი ბევრად ნაკლებია.

იაპონიის საელჩო აცხადებს ოიამას მოხსენებას 1 ოქტომბრის ბრძოლის შესახებ: იაპონელთა ერთი რაზმი, პრინც კანონის უფროსობით, იბრძვის თაიძიხეს მირცხენა ნაპირზე, ბენსიხუს აღმოსავლეთით, ამ სოფლიდან 7 მილის მანძილზე. იაპონელები იერიშით მიდიან და მთელს ფრონტზე წინ მიიწევიან. იაპონელთა მარცხენა ჯარმა კიდევ ჩაიგდო ხელთ რუსის ათი ზარბაზანი.

**ნიუ-იორკი.** (რეიტერი). ამერიკის პეტერბურგელმა ელჩმა, რომელიც პარიჟიდან ნიუ-იორკს წავიდა, სთქვა, თუმცა

ომია რუსეთში, მაგრამ მაინც სრული სიწყნარეაო. ყველგან, განსაკუთრებით პეტერბურგში, ხალხი ნდობით უყურებს მთავრობას და ერთგულია ხელმწიფისა. ომი ნაკლებად ჰმოქმედებს რუსეთის ეკონომიურ მხარეზე. რუსეთის ფინანსებს, შეუძლიან დააკმაყოფილოს ყველა აწმყო და მომავალი მოთხოვნილებანი. ელჩმა განაცხადა, რუსეთსა და ამერიკას კარგი ურთი-ერთობა აქვთო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). 29 სექტემბერს, ნაშუადღევის ოთხ საათიდან დაწყებული 30 სექტემბრის ოთხ საათამდე, როდესაც ეს დეპეშა გამოიგზავნა, იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ პორტ-არტურს. ამასთანავე რამდენჯერმე ხმელეთიდან იერიში მიიტანეს.

**მოსკოვი.** 2 ოქტომბერი. მოასვენეს გვამი პოლკოვნიკის ოზეროვსკისა—აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის უფროსისა, რომელიც გადაიცვალა ლიოიანის ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობისაგან. განსვენებულს ხვალ დაასაფლავებს სამოგიტის პოლკი, სადაც იგი მსახურებდა.

**სტამბოლი.** პირობით შეკრულ სახელმწიფოებმა წინადადება მისცეს დიდ ვეზირს, განსაზღვროს უფლებანი იმ ევროპიელ აფიცრებისა, რომელნიც მაკედონიის ჟანდარმერიაში ახლად შევიდნენ. დიდი ვეზირი პირდაპირ პასუხს არ იძლევა, რადგან სულთანი ამბობს, საჭირო არ არის აფიცრების რიცხვის გადიდებაო.

**სოფია.** 2 ოქტომბერი. აქაურნი საქმეთა მცოდნენი ამბობენ, რომ სერბიის მეფე პეტრე 15 სექტემბერს მოვა, როდესაც საერო კრება დაიწყებაო. მეფე დაესწრება კრებას.

სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით, პორტამ თანხმობა გ«ნაცხადა, ადრიანოპოლის ვილაეტის ბულგარელი ემიგრანტები დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე განსაკუთრებულ კომისიის ზედამხედველობითაო.

**ვენა.** ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით, მეფე პეტრემ საბოლოოდ გადასწყვიტა ბელგრადში მოგზაურობა.

**მუკდენი.** ოქტომბერს (რეიტერი.) 2 ოქტომბერს ერთს წუთს ბრძოლის ველზე სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ დღეს რუსების მარჯვენა ფრთეზე ბრძოლა ისევ სწარმოებს. ამ ჟამად გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ჯარი გზას არ გადააჭრევინებს იაპონელებს. ეხლანდელი ბრძოლა უფრო სასტიკი და საგულისხმოა, ვიდრე ბრძოლა ლიაოიანთან. დღეს რუსები იერიშით მიდიან იაპონელთა მარჯვენა ფრთაზე.

**იასსი.** მეფის სახლობა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელებთან ერთად ბრძანდებოდა წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის კურთხევაზე. საუზმის დროს მეფემ წარმოსთქვა სადღეგრძელო: „ვსვამ სრულიად რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების სადღეგრძელოს».

4 ოქტომბერი.

**ტოკიო,** 3 ოქტომბერი. (რეიტერი). გენერალ კუროპატკინმა ლაშქარი გაჰყო სამ რაზმად—გულისა, მემარჯვნე და მემარცხნე. გულისა შესდგება პირველის, მეოთხე და მეხუთე კორპუსიდგან გენერალ სოლოვიოვის უფროსობით, მარცხენა შესდგება ორის კორპუსისაგან გენერალ შტაკელბერგის უფროსობით, ამ რაზმმა შეუტია იაპონელთა მემარჯვენე ლაშქარსა, მარჯვენა რაზმში სამი კორპუსია გენერალ ლინევიჩის უფროსობით, რომელიც გარე უვლიდა ლიაოიანისაკენ, რომ გზა ვადაეჭრა იაპონელთათვის. გენერალი მიშჩენკო მარჯვენა ფლანგზე იყო ლინევიჩისაკენ.

**მუკდენი.** 2 ოქტომბერი. (რეიტერი). „რეიტ. სააგ.“-ს კორესპონდენტი რუსის ჯარის შუაგულ ლაშქრიდან დეპეშით იუწყება, ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაიხიეს 1 ოქტომბერს მდინარე შახესაკენ და უჭირავთ პოზიცია ჩრდილოეთ ნაპირას. 27 სექტემბერს გავიდენ შახეს და წავიდენ ხამატუნისკენ. ხამატუნთან ბრძოლის დროს რუსებმა ტყვეები წამოიყვანეს. რუსები გამოეკიდენ მტერს დაიჭირეს პოზიცია, არტილერიამ სროლა დაუწყო იაპონელებს. რუსები მძიმედ მიდიოდენ წინ. ღამე იაპონელებმა შესცვალეს პოზიცია და გათენებისას დაუწყეს სროლა რუსის სანგრებს და საშინელის შრაპნელის სროლა აუტეხეს ქვეითა ჯარსა, ამის შემდეგ იაპონელები მოაწვნენ. რუსები მედგრად იცავდნენ პოზიციას. იაპონელები დილა ადრიან შეუდგნენ მზადებას ჩვენი მარცხენა ფლანგისათვის. იმათ გზასა და სოფლისაკენ, სადაც ბარგი და რეზერვი იყო, რავდენიმე ყუმბარა ისროლეს მაგრამ ცოტა ვნება მოგვცა. ამ ფრთის დასაცველად რუსებმა რავდენიმე ზარბაზანი დადგეს. რაკი რუსებმა დაიწიეს, იაპონელებმა დაიჭირეს სიმაღლე და კლდიანი ადგილი, აქედან დაუწყეს სროლა დაბლა ვაკესა, სადაც წინადღით რუსები აწვებოდენ. იაპონიის ქვეითა ჯარმა ველად რუსის არტელერიისაგან დიდი ზიანი ნახა. 29 სექტ. დიდი ცვლილება არა მომხდარა-რა, მხოლოდ მცირე გამარჯვება ხვდათ იაპონელებს. რუსის მარცხენა ფრთასთან ამ დღეს ძლიერი ბრძოლა ჰქონდა ზარბაზნებითა. ყველა სერებიდან ორთავ მხარე დიდძალი ყუმბარებს ისროდა. ამავე დროს ვაკეზე პოლკი-პოლკზე მიდიოდა ორთავ მხრივ ერთმანერთზე, რომელნიც ნადგურდებოდნენ. ღამე დიდი თქეში მოვიდა და მთლათ წალეკა ვაკე. ღამე იაპონელთა ქვეითი ჯარი თავდაესხა რუსებსა. ხელჩართული ბრძოლა შეიქმნა. იაპონელები შეაფერხეს. რუსები მედგრათ იბრძოდენ, მაგრამ მძიმედ იხევდენ, რადგანაც საშიში გახდა მარცხენა ფრთის მდგომარეობა იაპონელთაგან. საღამოთი იაპონელებმა ყველა ზარბაზნებიდან ასტეხეს სროლა. 1 ოქტომბერს რუსები შახესთან მოვიდნენ. ღამე ბარგი გადაზიდეს. უკან-კი ისევ ბრძოლა იყო და მთელი დღე გასტანა. უმთავრესი ძალა რუსებისა შახეს გასცდა და იცავს ლაშქრის დახევას. 2 ოქტომბერს მუკდენში კარგად ისმოდა სროლის ხმა. მთელი რუსის ლაშქარი მძიმედ იყრის თავს და მედგრად იცავს ყოველ მტკაველს ტერიტორიისას. საფიქრებელია, რომ რუსის ჯარის არც ერთ ნაწილს გზას ვერ გადუჭრიან.

**პეტერბურგი.** დეპეშები გენ.-ლეიტ. სახაროვისა უმთავრეს შტაბს: 1) 3 ოქტომბრისა: 2 ოქტომბერს ნაშუადღევს იაპონელები მხნედ მოქმედებდნენ ჩვენის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ. ჩვენ წინ ვერ წავიწიეთ. შუა-გულის ჯარზე იერიში არ მოუტანიათ და მხოლოდ ზარბაზნებს ისროდნენ. საზოგადოდ ამ დღეს დიდი ბრძოლა არა ყოფილა და ზარალიც დიდი არ უნდა იყოს. 2) 3 ოქტომბრისა: 2 ოქტომბ. ღამეს იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს ორს პოლკზე და აიძულეს მდინარე შახეს იქით დაეწიათ. ჩვენებს მაშველი ჯარი მიეშველა და ზარბაზნების სროლის შემდეგ ჩვენებმა იერიში მიიტანეს ერთ კლდეზე, დაიპყრეს ეს კლდე და დიდს მანძილზედ სდევნეს მტერი. ჩვენს მარჯვენა ფრთაზედ ძლიერი ბრძოლა იყო ზარბაზნებითა. 3) 4 ოქტომბრისა: 3 ოქტომბრის ღამემ მშვიდობიანად გაიარა. კლდის აღების დროს მტერს კარგი ადგილი ეჭირა, საჩქაროდ, მაგრამ ხერხიანად გამაგრებული. მისი რაოდენობა გამორკვეული არ არის, თუმცა ბრძოლის მედგრობის მიხედვით, უნდა ვიგულისხმოდ, რომ საკმაო ძალა ჰქონდა. ზარბაზნების დაშენის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს, დაიპყრეს მთელი პოზიცია მტრისა და ორ ვერსზედ წინ წაიწიეს. ბრძოლა მხოლოდ დღეს დილით გათავდა. იაპონელები დიდის სიმტკიცით იბრძოდნენ, ხიშტებით ბრძოლას არ მოერიდნენ და ბევრნიც განგმირულ იქმნენ მათსავე საფარ-სანგრებში. დავიპყრეთ 11 ზარბაზანი და ერთი ტყვიის მფრქვეველი. ჯარები ვაჟკაცურად ირჯებოდნენ. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული. ამ საათში, 8 საათზედ ზარბაზნების არა-ხშირი სროლაა. ჯარი ძრიელ მოღლილია, მაგრამ სულით მხნედ არის.

**პეტერბურგი.** გენ.-ადიუტ. კუროპატკინი სწერს დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრს და ჰმოწმობს იმ სამკურნალო-სასანიტარო რაზმთა სასარგებლო და თავ-განწირულ მოღვაწეობას, რომელიც შიდა გუბერნიების 14 ერობის მიერ არის შედგენილი. სასურველია უფრო ბლომად გამოგზავნოს ეს რაზმნი და უფრო მეტი ხალხი იყოს თვითეულშიო.

**ხარბინი,** 3 ოქტომბერი. საგანგებო მატარებლით მოვიდა მოადგილე მისის უდიდებულესობისა ლაშქრიდან.

**ტოკიო,** 2 ოქტომბერი. (რეიტერი). გუშინ შუადღისას ცხარე ომი კიდევ არ ვათავებულიყო. საღამოს მოსულ მოხსენებიდგან სჩანს, რომ ოქუს დაუპყრია 10 ზარბაზანი. ბენსიხუს მიდამოებში ბრძოლა კიდევაა. მოხსენებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მაშველმა ჯარმა, ტუმენლინს გაგზავნილმა უკან დახევა დაიწყოვო·—1 ოქტომბერს პრინც კანინის ჯარმა დაუწყო ბრძოლა რუსებს თაიძიხეს მარცხენა ნაპირას. პრინცის ჯარმა დაიჭირა ჩრდილო მაღლობნი. შუა-გული ჯარმა დაიჭირა იმავე დღეს გაოშანტუნის მაღლობნი. მარჯვენა ლაშქარი დიდის წარმატებით იბრძვის. შუა-გულის ჯარმა დაიჭირა მაღლობნი ხუნძაძიდან ჩრდილოეთად და განაგრძობს მიტევებას. მარცხენა ჯარისაგან დაბოლოებული მოხსენება არ მოსულა, უკანასკნელ იერიშის დროს იაპონელებმა წაართვეს რუსებს 10 ზარბაზანი. რუსებმა დაიხიეს ჩრდილოაღმოსავლეთად.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

ქუთაისში
**ს. ზ. თოფურიას**
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მხთის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარე[illegible] განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპი[illegible] გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ[illegible] სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

[illegible] დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობის [illegible] 1 მანეთიდან 3 [illegible].

---

## „ცოდნა“-ს
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . . | 30 კ. |
| ვაჟრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, რო[illegible]. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9—,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3—,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკ. | ,,—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. გრამატიკა | 1—,, კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2—,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1—,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | ,,—40 к. |
| Исторія Грузинск, церк. Е. К. | 2 р. ,, ,, |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამა გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დღეები, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

## კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზე მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

(4—344—4).

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.**

(5—6—)

---

ს.-პეტერბურგის კომპანია
# „ნადეჟდა“
ზღვათ, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| **მირითადი** | **თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო** | **თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ირხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

მსწრაფლ მბეჭდავი
# სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

---



# საოცრად მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა, ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ე 6 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა,** 36—333

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)


Дозволено цензурою Тифлисъ 4 октября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій